საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/348 " 19 " დეკემბერი 2019 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიმდინარე წლის 10 დეკემბრის №06-11763 წერილით მომართა სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა, სადაც აღნიშნულია, რომ 2019 წლის 10 დეკემბრიდან, საიჯარო ქირის გადაუხდელობის გამო, საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ ცალმხრივად იქნა შეწყვეტილი დეპარტამენტსა და შპს „ჯორჯიან ვენდინგ გრუპს" შორის 2016 წლის 16 ნოემბერს დადებული იჯარის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობის ტერიტორიაზე არსებული 15 კვ.მ. ფართი (5 ცალი სწრაფი კვების აპარატისა და 4 ცალი ყავის აპარატის განთავსების მიზნით) გაცემული იყო იჯარის ფორმით 2020 წლის 1 მაისამდე. შესაბამისად, სასამართლოს თანამშრომელთა და სასამართლოს სერვისებით მოსარგებლე პირებისათვის მომსახურების ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელია ზემოაღნიშნული ფართის ხელმეორედ გაცემა იჯარის ფორმით. ამასთან, დეპარტამენტში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს მენეჯერის წერილის თანახმად, აღნიშნული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის ახალ ფლიგელს ესაჭიროება ერთი ერთეული კვების და ერთი ერთეული ყავის აპარატის დამონტაჟება. აღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის საჭიროა საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სარგებლობაში არსებული თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობის 18 კვ.მ ფართის სარგებლობაში გადაცემა კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმით, აუქციონის საფუძველზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 ოქტომბრის №326 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების სარგებლობაში გადაცემისას საჯარო აუქციონის ჩატარების შესახებ დებულების" პირველი მუხლის მე-7 პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის №1-1/172 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის" პირველი მუხლის მე-14 პუნქტის საფუძველზე, თანხმობა მიეცეს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, განახორციელოს მის სარგებლობაში არსებული თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობის ზემოაღნიშნული ფართის სარგებლობაში გადაცემა 2023 წლის 1 იანვრამდე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი